MES 3 22 0000683917

21/06/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები სავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარშენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

მზიაყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
დავითმღებრიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლოდაწესებულებებისწარმომადგენლები:

შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადა
ავთანდილ აბდუშელიშვილი - სკოლის დირექტორი

შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი
ხათუნა კერესელიძე - სკოლის დირექტორი
მარინე ანდრონიკაშვილი - სკოლის დირექტორის

შპს ერუდიტი
ქეთევან ჯანუაშვილი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლოდაწესებულებისავტორიზაციისექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადა
ხათუნა ბარაბაძე
სერგო დურგლიშვილი

შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი

მიხეილ ტეფნაძე
ლელა ჯაში
ეკატერინე ვეკუა

შპს ერუდიტი
ცირა ნიკოლაშვილი
ნინო ბალანჩივაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 07 ივნისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს დამოუკიდებელ საერო გიმნაზია შავნაბადას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ერუდიტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. "სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ " ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 18 მაისის N510316 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ხათუნა ბარაბაძემ და სერგო დურგლიშვილმა.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ ადგილზე ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა მიმდინარე წლის 14 და 15 აპრილს. ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ სკოლა მუშაობდა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. აქვე ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლა მუშაობდა მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა 7 კათედრა. მისი თქმით, დაწესებულებაში შემუშავებული იყო მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლების ინფორმირების წესი. კერძოდ, დაწესებულებას ჰქონდა ელექტრონული ჟურნალი, რაც განაპირობებდა მოსწავლეების აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის დროულ მიწოდებას მშობლებისთვის. აქვე ექსპერტმა დაამატა, რომ მშობლებთან კომუნიკაცია ხდებოდა ელექტრონული ფოსტის, მობილური ტელეფონის, საკლასო კრებების, ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზებით, ღია გაკვეთილებზე მოწვევით, ინტერნეტ-საინფორმაციო გვერდითა და სოციალური ქსელების მეშვეობით.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ სკოლას ჰყავდა 8 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე. აქვე, ექსპერტმა დაადასტურა, რომ სკოლაში მათი ინტეგრაციისათვის საჭირო ყველა პირობა იყო დაცული.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ სკოლას არჩეული ჰქონდა მართვის დემოკრატიული პრინციპები. კერძოდ, სკოლაში ხდებოდა მოსწავლეების ინტერესების დადგენა და მათი გათვალისწინება სკოლის მართვის საკითხებში. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში შექმნილი იყო უსაფრთხო და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ სკოლაში შემუშავებული იყო სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები. აქვე ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში მოქმედებდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და გარე მონიტორინგის მექანიზმები.
ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული იყო და აკმაყოფილებდა ყველა საჭირო მოთხოვნას. სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის ფუნქციონირებდა ლიფტი. საჭირო ინვენტარით აღჭურვილი იყო კაბინეტ-ლაბორატორიები. ექსპერტის განმარტებით, სკოლაში იყო 146 საკლასო ოთახი, დამატებით 5 საკლასო ოთახი განაყოფებისათვის, 1050 მერხი და სკამი. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებდა სრულად აღჭურვილი 4 კაბინეტ-ლაბორატორია.
ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლას ჰყავდა 84 მასწავლებელი, რომელთაგან 13 იყო უსტატუსო , 47 იყო უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე, 23 წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე, ხოლო 1 მენტორი მასწავლებელი. ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ სკოლაში თანამშრომლობითი გარემო იყო. აქვე, მან დაამატა, რომ სკოლას არც ერთ სტანდარტთან მიმართებით არ ჰქონდა დაფიქსირებული ხარვეზი.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და დაწესებულბასთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობდა თუ არა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობდა განათლების და მეცნიერების მინისტრის 40/ნ ბრძანების მიხედვით დანერგილი მესამე თაობის ეროვნული გეგმის მიხედვით.
საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, დაესახელებინათ ის კლუბები, რომლებიც ფუნქციონირებდა სკოლაში.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ სკოლაში კლუბები იქმნებოდა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ექსპერტის განმარტებით, სკოლაში ფუნქციონირებდა საფეხბურთო, ხრიდოლის, კალათბურთის, საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ფინანსური წიგნიერების, ინტერკულტურული კომუნიკაციის, სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და სხვა კლუბები.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 1000 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1000-ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 13 ივლისის N34 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 13 ივლისს 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 13 ივლისს.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-10
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას (ს/კ: 206051396) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000 -ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 13 ივლისი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

2. შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მიხეილ ტეფნაძემ, ლელა ჯაშმა და ეკატერინე ვეკუამ.

ექსპერტ, მიხეილ ტეფნაძის თქმით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 27, 28 და 29 აპრილს ქალაქ თბილისში. ექსპერტის განმარტებით, სკოლას არც ერთ სტანდარტთან მიმართებით არ უფიქსირდებოდა ხარვეზი.

ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის ძლიერი მხარე იყო გაერთიანებული 5 სხვადასხვა პროგრამის არსებობა. ექსპერტის თქმით, თითოეული პროგრამა ერთმანეთთან თანამშრომლობდა. მიხეილ ტეფნაძის განმარტებით, პროგრამა „მარი ბროსე“, პროგრამა „ა-Z“, პროგრამა „ექვთიმე თაყაიშვილი“, პროგრამა „მოძღვარი“ და პროგრამა „სენტ-ეგზიუპერი“ თანამშრომლობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ექსპერტის თქმით, სკოლა მიმართავდა როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალური განათლების პრინციპებს, რომელიც თანხვედრაში იყო სკოლის საგანმანათლებლო რესურსთან. ექსპერტმა აქვე დაამატა, რომ სწავლების ენა იყო ქართული ენა. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას საათობრივი ბადე შეთანხმებული ჰქონდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. მიხეილ ტეფნაძის თქმით, სკოლის ფართი შეადგენდა 6433 კვ.მ-ს. საკლასო ოთახების რაოდენობა იყო 44. დაწესებულებაში ფუნქციონირებდა რამდენიმე ბიბლიოთეკა და წიგნსაცავი. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ საგანმანათლებლო სივრცეში 101 კომპიუტერი იყო განთავსებული და სასწავლო პროცესს წარმართავდა 67 მასწავლებელი.

ექსპერტის თქმით, დაწესებულებას ზედმიწევნით ჰქონდა აღწერილი სამსახურეობრივი ფუნქციები თითოეული დასაქმებულისთვის, რადგან არ მომხდარიყო მათი სამუშაო ვალდებულებების გადაფარვა. მიხეილ ტეფნაძის თქმით, ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში კეთილგანწყობილი გარემო იყო, სადაც მოსწავლეებს შეეძლოთ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისთვის მიეღწიათ.

ექსპერტის, ლელა ჯაშის განმარტებით, ვიზიტის პროცესი საინტერესო გამოცდილება იყო ორგანიზაციული სტრუქტურიდან გამომდინარე.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებებით და აღნიშნა, რომ დაწესებულება I-IV კლასებს სთავაზობდა ფეხბურთისა და ბალეტის კლუბებში გაწევრიანებას, სადაც გენდერულად იყო დაყოფილი სწავლება. აქვე, საბჭოს წევრმა დაამატა, რომ მოცემული საკითხი იყო დისკრიმინაციული.

ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ ეს ფაქტი კატეგორიული და ხაზგასმითი შინაარსის არ იყო და არ იწვევდა ფუნქციურ დისკრიმინაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ სკოლა ვალდებული იყო დაეცვა ბავშვები გენდერული სტერეოტიპებისგან.

სკოლის წარმომადგენლის თქმით, მკვეთრად არ იყო განსაზღვრული კლუბების ორგანიზება და თითოეულ კლუბში ნებისმიერ მოსწავლეს შეეძლო გაწევრიანებულიყო. აქვე მან დაამატა, რომ მოცემულ ხარვეზს გამოასწორებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდათ განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 1600 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1600- ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 19 სექტემბრის N104 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 19 სექტემბრიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 19 სექტემბრიდან.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპულ სასწავლებელს (ს/კ: 404901406) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1600-ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 19 სექტემბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

3. შპს ერუდიტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ შპს ერუდიტის ავტორიზაციის საკითხის განხილვასთან მიმართ ჰქონდა თვითაცილება, რადგან მისი ოჯახის წევრი სწავლობდა შპს ერუდიტში. აგრეთვე, დავით მალაზონიამ განმარტა, რომ გასულ წლებში შრომითი ურთიერთობა აკავშირებდა დაწესებულებასთან.

შესაბამისად, აღნიშნული საკითხის განხილვისას სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი.
სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ცირა ნიკოლაშვილმა და ნინო ბალანჩივაძემ.
ექსპერტ, ცირა ნიკოლაშვილის თქმით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 19 და 20 აპრილს. მისი განმარტებით, დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობდა ექსპერტებთან. ცირა ნიკოლაშვილის თქმით, სკოლას დოკუმენტაცია სრულყოფილად ჰქონდა წარმოდგენილი. ექსპერტმა განმარტა, რომ გასაუბრება ჩატარდა სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან. ცირა ნიკოლაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად აკმაყოფილებდა ავტორიზაციის ყველა სტანდარტს.
ცირა ნიკოლაშვილის თქმით, ვიზიტის დროს სკოლის დირექტორმა ექსპერტებს პრეზენტაციის საშუალებით დაწესებულებაში მიმდინარე ფორმალური და არაფორმალური პროცესები გააცნო. ექსპერტის განმარტებით, სკოლას ჰქონდა 450 კვ. მ-ის ეზო, სადაც ეწყობოდა სპორტული და არასპორტული ღონისძიებები. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თვალსაზრისით სკოლა სრულად აკმაყოფილებდა მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, განმარტა, რომ სამედიცინო კაბინეტში არ იყო მაცივარი და გამყოფი ბარიერი. შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტის თქმით, სკოლას მიეცა სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდაცია. აქვე, მან დაამატა, რომ ექიმის სპეციალობა არ შეესაბამებოდა 2022 წლის 21 მარტის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის და განათლების და მეცნიერების მინისტრის ერთობლივ ბრძანებას.
შესაბამისად, ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ ვაკანსია გამოაცხადა აღნიშნულ თანამდებობაზე. ცირა ნიკოლაშვილის თქმით, რეკომენდაცია ასევე, გაიცა წახალისებისა და სანქციების სისტემასთან დაკავშირებითაც. მისი განმარტებით, შესაბამისობაში არ იყო დისციპლინური გადაცდომა დისციპლინურ სახდელთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ დასკვნის პროექტზე არგუმენტირებული პოზიციაში აღნიშნული საკითხი გამოასწორა და წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია.
სკოლის დირექტორმა, ქეთევან ჯანუაშვილმა აღნიშნა, რომ ექიმის სტატუსთან დაკავშირებული რეკომენდაცია სკოლას გათვალისწინებული ჰქონდა და შესაბამისი პირობების დაცვით ჰქონდა ვაკანსია გამოცხადებული. აგრეთვე, სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლაში არსებობდა მაცივარი, მაგრამ განთავსებული იყო სხვა ადგილზე. ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციის შემდეგ სკოლამ მაცივარი განათავსა სამედიცინო კაბინეტში.
ექსპერტის განმარტებით, სკოლაში დასაქმებული პერსონალი შეირჩა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ვიზიტის დროს დაწესებულებაში 23 პედაგოგი იყო. მათგან უფროსი სტატუსის მქონე იყო 15 მასწავლებელი, 1 მენტორის სტატუსის მქონე და 1 წამყვანი სტატუს მქონე მასწავლებელი. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეული პედაგოგი

ჩართული იყო სკოლის მიერ განხორციელებულ ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობებში. ცირა ნიკოლაშვილის თქმით, სკოლა სარგებლობდა საათობრივი ბადის მესამე მოდელით, რომელიც შეთანხმებული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
ექსპერტმა, ისაუბრა დაწესებულებაში არსებულ საუკეთესო პრაქტიკაზე. სკოლა ყოველწლიურად ავლენდა საუკეთესო პედაგოგსა და მოსწავლეს. ცირა ნიკოლაშვილის თქმით, მოცემული მიდგომა დადებითად აისახებოდა სკოლის კლიმატზე და ზრდიდა სასკოლო საზოგადოების მოტივაციას. ექსპერტებმა, ამ ნაწილში სკოლას მისცეს რჩევა დოკუმენტურად ყოფილიყო წარმოდგენილი აღნიშნული საკითხი და დამტკიცებული მეტი გამჭვირვალობისთვის. ექსპერტის განმარტებით, სკოლამ აღნიშნული რჩევა გაითვალისწინა და დაამტკიცა დებულების სახით.
სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და დაწესებულების წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რამდენად თანაბარ პირობებში მიმდინარეობდა საუკეთესო მასწავლებლისა და მოსწავლის გამოვლენის კონკურსი.
ექსპერტ, ცირა ნიკოლაშვილის თქმით, აღნიშნული შეკითხვით ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში მიმართეს სკოლას. ექსპერტის განმარტებით, სკოლას დებულებაში ჰქონდა გაწერილი აღნიშნული საკითხი. აქვე. ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლაში შექმნილი იყო თანასწორუფლებიანი გარემო.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ როგორ ხდებოდა არჩევითი საგნის შეთავაზება საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში შეხვდნენ მშობლებს და ინტერვიუს პროცესში ექსპერტებმა მოისმინეს მშობლების მოსაზრება ალტერნატიული უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით. ექსპერტის თქმით, მშობლებს სურდათ ინდივიდუალურად აერჩიათ უცხო ენა და არ სურდათ ამ საკითხის ხმათა უმრავლესობის პრინციპით არჩევა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდათ განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 180 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ერუდიტის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180- ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 24 აგვისტოს N60 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 24 აგვისტოდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 24 აგვისტოდან.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ერუდიტს (ს/კ: 404897359) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 24 აგვისტო. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

4. ,,სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 18 მაისის N510316 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა

ცენტრი სწარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე განმარტა, რომ ,,სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 18 მაისის N510316 გადაწყვეტილებაში ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, სკოლის საიდენტიფიკაციო კოდი იყო არასწორად მითითებული. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო აღნიშნულ
გადაწყვეტილებაში და დაკორექტირებულიყო დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი პირველ პუნქტში.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 18 მაისის N510316 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ,,სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 18 მაისის N510316 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. "სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხტის საჯარო სკოლას (ს/კ: 243127503) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით;“

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
მოადგილე
მამსიკაშვილი თამარი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა